სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის დემეტრე ჯინჯოლიას შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	**23**	**25**
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	**24**	**25**
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	**19**	**20**
პროფესიული ოვისებები	**13**	**15**
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	**8**	**10**
პროფესიული აქტივობა	**4**	**5**
ქულათა ჯამი	**91**	**100**

შემფასებელი: **ნიკოლოზ მარსაგიშვილი**

თარიღი : 09.12.2024

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი ნიკოლოზ მარსაგიშვილი

რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეობის
კანდიდატთა შესარჩევ პროცედურაში მონაწილე
კანდიდატის - **დემეტრე ჯინჯოლიას** შეფასების დასაბუთება

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 17 ოქტომბრის №1/115 განკარგულებით დაწყებული რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად კანდიდატის - დემეტრე ჯინჯოლიას შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1]-ე მუხლის მე-11 პუნქტით და 35-ე მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი წესით.

1. მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით.

რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატი კეთილსინდისიერების კრიტერიუმით შეფასდა „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლით დადგენილი მახასიათებლების მიხედვით.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, იმის დასადგენად, თუ რამდენად აკმაყოფილებს კანდიდატი დემეტრე ჯინჯოლია კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, წინამდებარე დასკვნაში წარმოდგენილი და გაანალიზებულია მისი შეფასება აღნიშნული კრიტერიუმის ითითოეულ მახასიათებელთან მიმართებით. კერძოდ, როგორიც არის - პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი; დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა; პიროვნული და პროფესიული ქცევა; პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია.

აღსანიშნავია, რომ კეთილსინდისიერების კრიტერიუმით დემეტრე ჯინჯოლიას შეფასება დაეყრდნო კანდიდატის შესახებ მოძიებულ ინფორმაციას, რა დროსაც სხვადასხვა უწყებიდან მის შესახებ გამოთხოვილ იქნა შემდეგი სახის ინფორმაცია: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოდან - მონაცემები ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ; სს „კრედიტინფო საქართველოდან" სრული პერსონალური საკრედიტო ინფორმაცია; საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან - ცნობა შემოსავლების შესახებ; საჯარო სამსახურის ბიუროდან - ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია; კანდიდატის სამუშაო ადგილიდან - ინფორმაცია დისციპლინური

სამართალწარმოების შესახებ. დემეტრე ჯინჯოლიას დახასიათების მიზნით, მასთან სამსახურებრივ და პირად ურთიერთობაში მყოფი პირებისგან მიღებულ იქნა შევსებული სპეციალური ფორმის რეკომენდაციები, კითხვარები და სხვა. ამასთან, მნიშვნელოვანია, აღინიშნოს ისიც, რომ დემეტრე ჯინჯოლიას შეფასებისას გათვალისწინებულ იქნა მის მიერ განაცხადის შევსებისას მითითებული ინფორმაცია და საჯარო მოსმენის დროს უშუალოდ კანდიდატის მხრიდან გამოვლენილი სხვადასხვა თვისება.

<u>**პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის**</u> მახასიათებლის თაობაზე, ზემოაღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, კანდიდატთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ რეკომენდატორები და სხვა გამოკითხული პირები კანდიდატს დადებითად ახასიათებენ. გამოარჩევენ მის კეთილსინდისიერებას, პატიოსნებას, სიმართლისმოყვარეობას, კორექტულობას, პასუხისმგებლობის მაღალ შეგნებას და სხვა პიროვნულ და პროფესიულ დადებით თვისებებს. გამოკითხული რესპოდენტები მიუთითებენ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

დემეტრე ჯინჯოლიას გააჩნია პასუხისმგებლობისა და მოვალეობების მაღალი შეგნება და სამსახურებრივ თუ სხვა სახის მოვალეობებს, მათ შორის, ფინანსურ ვალდებულებებს ასრულებს ჯეროვნად. ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ჩადენის გამო დაკისრებული ჯარიმები დემეტრე ჯინჯოლიას გადახდილი აქვს დროულად.

<u>**დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის მახასიათებელს**</u> რაც შეეხება, გამოკითხული რეკომენდატორები კანდიდატს აფასებენ, როგორც პრინციპულ და მიუკერძოებელ პიროვნებას. აღნიშნავენ, რომ მას შეუძლია გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება და პრობლემათა მოგვარების საკუთარ თავზე აღება.

რაც შეეხება, კანდიდატის პოლიტიკური ან სხვა ნიშნით მიუკერძოებლობის საკითხს, უნდა აღინიშნოს, რომ დემეტრე ჯინჯოლია არ იყო რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრი, მხარდამჭერი ან/და შემომწირველი და საჯარო მოსმენაზეც მისი მხრიდან არ გამოვლინდა პოლიტიკური ან სხვაგვარი მიკერძოებულობის ნიშნები.

<u>**პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებელთან**</u> დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ დემეტრე ჯინჯოლია გაწონასწორებულია და მართავს საკუთარ ემოციებს. კანდიდატის მოსმენის შედეგად დამრჩა შთაბეჭდილება, რომ იგი არის მოტივირებული, კორექტული და თავაზიანი. ამასთან, კანდიდატის წინააღმდეგ დისციპლინური დევნა ან/და სისხლისსამართლებრივი წარმოება არ დაწყებულა. საქართველოს გენერალური პროკურატურის ინფორმაციით, დემეტრე ჯინჯოლია დაზარალებულად ცნობილი არ ყოფილა. აგრეთვე, საქართველოს საერთო სასამართლოებში წარმოებულ დავებში მისი მხარედ მონაწილეობის თაობაზე ინფორმაცია ელექტრონული საქმისწარმოების საძიებო სისტემაში ვერ იქნა მოძიებული.

<u>**პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მახასიათებლის**</u> მიხედვით, კანდიდატის პიროვნულ თვისებებს, ისევე როგორც მის პროფესიულ მიღწევებს რეკომენდატორები და გამოკითხული პირები აფასებენ დადებითად. ამასთან, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, კანდიდატის - დემეტრე ჯინჯოლიას შესახებ ინტერნეტ სივრცეში ვერ იქნა მოძიებული ინფორმაცია. იურიდიულ წრეებთან ურთიერ-

თობის ხასიათთან და ხარისხთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ დემეტრე ჯინჯოლია აქტიურად მონაწილეობდა მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ დონისძიებებში.

ყოველივე ზემოაღნიშნულის და თითოეული მახასიათებლის გაანალიზების შედეგად, ვინაიდან არ გამოიკვეთა გარემოება, რაც ეჭვქვეშ დააყენებდა კანდიდატის კეთილსინდისიერების საკითხს, კანდიდატი, კეთილსინდისიერების კრიტერიუმის ოთხივე მახასიათებლით შემოწმებისას, შევაფასე სრულად დადებითად და მიმაჩნია, რომ დემეტრე ჯინჯოლია „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-15 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად, **სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.**

2. რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მახასიათებლების მიხედვით:

კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატი შეფასდა „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-16 პუნქტით დადგენილი წესით.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, კომპეტენტურობის კრიტერიუმის საფუძველზე დემეტრე ჯინჯოლიას შეფასებისას მხედველობაში იქნა მიღებული აღნიშნული კრიტერიუმის თითოეული მახასიათებელი. კერძოდ, - სამართლებრივი ნორმების ცოდნა; სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია; წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი; პროფესიული თვისებები; აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა; პროფესიული აქტივობა. აღსანიშნავია, რომ კომპეტენტურობის კრიტერიუმით კანდიდატის შეფასება დაეყრდნო კანდიდატის შესახებ მოძიებულ და იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას, ასევე საჯარო მოსმენის შედეგად შექმნილ შთაბეჭდილებას.

<u>**სამართლებრივი ნორმების ცოდნის**</u> კუთხით უნდა აღინიშნოს, რომ დემეტრე ჯინჯოლია არის იუსტიციის უმაღლესი სკოლის XVII ჯგუფის მსმენელი (მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდაში მიღებული ქულები - 83/15, რიგითი ნომერი საკვალიფიკაციო სიაში - მე-6). იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით:

- დემეტრე ჯინჯოლიამ წარმატებით გაიარა თეორიული სწავლების, სტაჟირების და სემინარული მუშაობის ეტაპები, წარმატებით ჩააბარა სკოლის დამამთავრებელი გამოცდა. სტაჟირებაში მიიღო უმაღლესი ქულა და სკოლის დამამთავრებელ გამოცდაში - 88 ქულა;
- სისხლის სამართალში დემეტრე ჯინჯოლიას აქვს ძალიან კარგი თეორიული ცოდნა და შესაბამისად იყენებს პრაქტიკაში. აქვს სამართლებრივი ანალიზის კარგი უნარი, არგუმენტირებული და დახვეწილი სამართლებრივი მსჯელობა. შეუძლია სამართლებრივი არგუმენტების მოძიება, მათი ერთმანეთთან სწორად დაკავშირება და შესაბამისი დასკვნის გამოტანა. მის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების პროექტები წერილობით სწორად და თანმიმდევრულად არის ჩამოყალიბებული;
- სამოქალაქო სამართალში მსმენელს აქვს ძალიან კარგი თეორიული ცოდნა და შესაბამისად იყენებს პრაქტიკაში, აქვს სამართლებრივი ანალიზის კარგი უნარი, არგუმენტირე-

ბული და დახვეწილი სამართლებრივი მსჯელობა. შეუძლია სამართლებრივი არგუმენტების მოძიება, მათი ერთმანეთთან სწორად დაკავშირება და შესაბამისი დასკვნის გამოტანა. მის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებებისა და განჩინებების პროექტები წერილობით სწორად და თანმიმდევრულად არის ჩამოყალიბებული. გააჩნია მაღალი თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, ფლობს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას, არის მიზანმიმართული, მონდომებული, კეთილსინდისიერი და ყურადღებიანი. აქვს სამართლებრივი ანალიზის კარგი უნარი, არგუმენტირებული სამართლებრივი მსჯელობა, ახასიათებს აზრის სწორად და ლაკონურად გადმოცემა. მის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების, განჩინების პროექტები წერილობით თანმიმდევრულად არის ჩამოყალიბებული;
- ადმინისტრაციული სამართალი - დემეტრე არის მაღალი კვალიფიკაციის მქონე იურისტი. კარგად იცნობს ეროვნულ კანონმდებლობას, საკონსტიტუციო, საკასაციო და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს, რასაც წარმატებით იყენებს პრაქტიკაში. დემეტრე არის მიზანდასახული, შრომისმოყვარე და პასუხისმგებლიანი ადამიანი. გააჩნია სამართლებრივი საკითხების ღრმა და ჯეროვანი გააზრების უნარი. სადავო საკითხებზე მსჯელობისას არგუმენტირებულად განმარტავს სამართლის ნორმას, ახდენს მის მისადაგებას დადგენილი ფაქტებისადმი და შესაბამისად იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას. გააჩნია კარგი წერის და ზეპირი კომუნიკაციის უნარი, ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით შეუძლია ნათლად, გასაგებად და დამაჯერებლად გადმოსცეს თავისი აზრი, როგორც ზეპირად ასევე წერილობით, აქვს უნარი სათანადოდ განავითაროს სამართლებრივი მსჯელობა და დაასაბუთოს გადაწყვეტილება.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ კანდიდატების შესახებ მოძიებული ინფორმაციის შესწავლის შემდეგ, 2024 წლის 3 დეკემბერს, დემეტრე ჯინჯოლიასთან გაიმართა საჯარო მოსმენა, რა დროსაც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა კანდიდატს დაუსვეს ზოგადი და კონკრეტული სამართლებრივი ხასიათის შეკითხვები.

საჯარო მოსმენის შედეგად ნათელი გახდა, რომ დემეტრე ჯინჯოლია მაღალ დონეზე ფლობს საქართველოს სისხლის სამართლის როგორც მატერიალურ, ისე საპროცესო სამართლის თეორიულ საფუძვლებს. კანდიდატი ეცნობა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებს. აღსანიშნავია, რომ მას ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა სისხლის სამართლის სპეციალიზაციით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მან ამომწურავად ისაუბრა ასევე საერთაშორისო სისხლის სამართლის სფეროდან დასმულ შეკითხვებზე.

საბოლოოდ, მიმაჩნია, რომ დემეტრე ჯინჯოლია სიღრმისეულად იცნობს სისხლის სამართლის მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას. კანდიდატმა დასმულ საკითხებზე დააფიქსირა კვალიფიციური პასუხები, თითოეულ საკითხზე მისი მსჯელობა იყო არგუმენტირებული და დასაბუთებული.

<u>**კანდიდატის სამართლებრივი დასაბუთების უნართან და კომპეტენციასთან**</u> დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ დემეტრე ჯინჯოლიას აქვს საქართველოს პროკურატურის სისტემაში მუშაობის ხანგრძლივი პროფესიული გამოცდილება. ამასთან, ის არის იუსტიციის უმაღლესი სკოლის კურსდამთავრებული.

იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით, „დემეტრე ჯინჯოლიას გააჩნია აკადემიური წერის მაღალი კულტურა და სამართლებრივი დასკვნების გაკეთებისას ამომწურავად ასაბუთებს საკუთარ პოზიციებს/დასკვნებს." ამასთანავე, კანდიდატთან პირად თუ სამსახურებრივ ურთიერთობაში მყოფი რეკომენდატორებიც აღნიშნავენ, რომ კანდიდატს აქვს ანალიტიკური აზროვნების უნარი, გამოცდილებიდან და შრომისმოყვარეობიდან გამომდინარე, გადაწყვეტილებებს ძალიან კარგად ასაბუთებს.

მიმაჩნია, რომ კანდიდატის მიერ ჩამოყალიბებული მოსაზრებები არგუმენტირებული და დასაბუთებულია. საჯარო მოსმენის შედეგის გაითვალისწინებით, ვფიქრობ, რომ კანდიდატის მსჯელობა სამართლის პრაქტიკული და თეორიული საკითხების გარშემო კვალიფიციური და დამაჯერებელია.

<u>წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნართან</u> დაკავშირებით უნდა აღინიშნოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასება, რომლის თანახმად „დემეტრე ჯინჯოლიას მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების/საპროცესო დოკუმენტების პროექტების მოწონება შეიძლებოდა, ისინი მხოლოდ უმნიშვნელო კორექტირებას საჭიროებდა. მას გააჩნია აკადემიური წერის მაღალი კულტურა და სამართლებრივი დასკვნების გაკეთებისას ამომწურავად ასაბუთებს საკუთარ პოზიციებს/დასკვნებს. დემეტრე ჯინჯოლიას შესწევს უნარი, საქმის გარემოებები და მასში არსებული პრობლემები სტრუქტურირებულად ჩამოაყალიბოს ზეპირად. ასევე, ზეპირად ამომწურავად გადმოსცემს აზრს."

გამოკითხული რეკომენდატორები მიუთითებენ, რომ დემეტრე ჯინჯოლიას აქვს ძალიან კარგი წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი. აზრს ნათლად და გასაგებად გადმოსცემს ლოგიკურად მსჯელობს და გამართულად მეტყველებს. გამოკითხული რესპოდენტები კომპეტენტურობის კრიტერიუმის მითითებულ მახასიათებელში პოზიტიურად აფასებენ კანდიდატს.

მიმაჩნია, რომ კანდიდატს შეუძლია აზრის დამაჯერებლად, კვალიფიციურად და ლოგიკურად გადმოცემა, როგორც წერილობით, ისე ზეპირი კომუნიკაციისას. საჯარო მოსმენაზე კანდიდატი ლოგიკურად და არგუმენტირებულად გადმოსცემდა საკუთარ შეხედულებებს. მას გააჩნია სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის და საკუთარი აზრის არგუმენტირებულად დაცვის უნარი.

<u>პროფესიული თვისებებთან</u> დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ დემეტრე ჯინჯოლია გამოირჩევა მაღალი თეორიული და პრაქტიკული ცოდნით, აქვს ანალიტიკური აზროვნების უნარი, გამართულად მეტყველებს და არგუმენტირებულად და დასაბუთებულად მსჯელობს სხვადასხვა საკითხზე.

<u>აკადემიური მიღწევების და პროფესიული წვრთნის მახასიათებელთან</u> დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ კანდიდატი დემეტრე ჯინჯოლია ღიაა სიახლეების მიმართ, იგი ზრუნავს თვითგანვითარებაზე, მონაწილეობს პროფესიული წვრთნის პროგრამებში, შეძენილ ცოდნას და უნარებს იყენებს პრაქტიკულ საქმიანობაში.

კანდიდატს ჩაბარებული აქვს ადვოკატთა და მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდები.

<u>პროფესიული აქტივობის</u> მახასიათებელთან მიმართებით, კანდიდატის დახასიათებისას გასათვალისწინებელია, რომ დემეტრე ჯინჯოლიას აქვს თვითგანვითარების, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი. მას მონაწილეობა აქვს მიღებული არაერთ სემინარსა და საერთაშორისო კონფერენციაში, მათ შორის: აღკვეთის ღონისძიებების დასაბუთება ეროვნული კანონმდებლობისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტების შესაბამისად; ტრენინგი საქართველოს პროკურატურის თანამშრომლებისათვის თემაზე - საერთაშორისო თანამშრომლობა; ტრენინგი - ანტი-დისკრიმინაცია, ევროპის საბჭო (HELP-ის პლატფორმა); არასათანადო მოპყრობის აკრძალვა, ევროპის საბჭო (HELP-ის პლატფორმა - ტრენინგი, წინასასამართლო გამოძიება და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, ევროპის საბჭო (HELP-ის პლატფორმა); სიძულვილის ენა, ევროპის საბჭო (HELP-ის პლატფორმა); სიძულვილით მოტივირებული დანაშაული, ევროპის საბჭო (HELP-ის პლატფორმა); ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ გადაწყვეტილებებზე, ევროპის საბჭო - ტრენერთა ტრეინინგი და სხვა. სისხლისსამართლებრივ პრობლემებზე მომუშავე ევროპის საბჭოს კომიტეტის (European Committee on Crime Problems - CDPC) რიგით 75-ე კონფერენციის მონაწილე (ქ. სტრასბურგი, საფრანგეთის რესპუბლიკა); ევროპელ პროკურორთა საკონსულტაციო საბჭოს (Consultative Council of European Prosecutors - CCPE) 2020 წლის კონფერენციის მონაწილე (ქ. სტრასბურგი, საფრანგეთის რესპუბლიკა) და სხვა. აქვე აღვნიშნავ, რომ დემეტრე ჯინჯოლიას პროფესიული საქმიანობის პერიოდში მიღებული აქვს რამდენიმე სპეციალური წოდება, სამსახურებრივი მოვალეობის სანიმუშო შესრულებისთვის კანდიდატის მიმართ არაერთხელ იქნა გამოყენებული წახალისების ფორმა.

ამდენად, **კომპეტენტურობის კრიტერიუმის** თითოეულ მახასიათებელთან მიმართებით კანდიდატის შეფასებისას გათვალისწინებულ იქნა მისი ცოდნა, კომპეტენცია, გამოცდილება, პროფესიული თვისებები, უნარ-ჩვევები და სხვა მნიშვნელოვანი მახასიათებლები. აღნიშნული ინფორმაციის შეჯერებისა და შეფასების საფუძველზე კი დადგინდა, რომ დემეტრე ჯინჯოლიას მიერ დაგროვილ ქულათა ჯამი მაქსიმალური 100 ქულიდან შეადგენს **91** ქულას.

შემფასებელი: **ნიკოლოზ მარსაგიშვილი**
თარიღი: 09.12.2024